ჯანსაღი ცხოვრების დისკურსის კრიტიკული ანალიზი

მარიამ ხელაძე

სადისერტაციო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

სოციოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მარიამ დალაქიშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2023

განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მარიამ ხელაძე

15.06.2023

აბსტრაქტი

კვლევის ინტერესის სფეროს წარმოადგენს ჯანსაღი ცხოვრების წესი, მასთან დაკავშირებული დისკურსული შინაარსები, მათი გავრცელების გზები და ფორმები. პანდემიამ მთელი მსოფლიოს მასშტაბით ჯანმრთელობის გაუმჯობესება და შენარჩუნება აქტუალურ თემად აქცია, შესაბამისად, წინამდებარე ნაშრომი ეხება ჯანსაღი ცხოვრების წესთან დაკავშირებულ საკითხებს საქართველოში.

კვლევის მიზანს წარმოადგენს ქართულ სოციალურ მედიაში წარმოებული ჯანსაღი ცხოვრების წესის დისკურსის კრიტიკული ანალიზი. კვლევის ამოცანაა გამოავლინოს დიკურსის ძირითადი შინაარსები, მათი წარმოების სტრატეგიები და მიმართება სხვადასხვა იდეოლოგიებთან. კვლევის თეორიულ ჩარჩოს წარმოადგენს ვანდაიკის იდეოლოგიური დისკურსის ანალიზი, ხოლო საკვლევი საკითხი განხილულია მედიკალიზაციის, ჰელსიზმისა და სამომხმარებლო კულტურის ცნებებთან კავშირში, ამასთანავე ლიტერატურის მიმოხილვის ნაწილში აღწერილია ჯანსაღი ცხოვრების წესის გლობალური დისკურსები და ლოკალური კონტექსტი. კვლევის ფარგლებში გააანლიზებულია მიზნობრივად შერჩეული 6 ინსტაგრამ ბლოგის 130 პოსტი.

კვლევის შედეგების მიკრო დონეზე გამოიყო რამდენიმე ძირითადი შინაარსი და მათი წარმოების მანიპულაციური სტრატეგიები, რომელთა საშუალებითაც ინსტაგრამ ბლოგერები ჯანსაღი ცხოვრების წესის მიმდევრების, როგორც შიდა ჯგუფის წევრების, პოზიტიურ სოციალურ რეპრეზენტაციებს ახდენდნენ, ხოლო გარე ჯგუფის აღწერისას იყენებდნენ ნეგატიურ განსაზღვრებებს, რაც საზოგადოებაში უსამართლო დომინაციასა და უთანასწორობას აკანონებს. ამასთანავე, ანალიზის მაკრო დონეზე აღნიშნული შინაარსები გაანალიზდა სხვადასხვა იდეოლოგიებთან მიმართებით.

საკვანძო ცნებები: ჯანსაღი ცხოვრების წესი, ფიტნესი, ჯანსაღი კვება, მედიკალიზაცია, ჰელსიზმი, სამომხმარებლო კულტურა, სოციალური მედია, იდეოლოგიური დისკურსი, დისკურსის კრიტიკული ანალიზი, დომინაცია, უთანასწორობა

Abstract

The research focuses on the subject of healthy lifestyle, specifically examining discursive contents related to it, the ways and forms in which they are disseminated. The global pandemic has made the improvement and maintenance of health an urgent issue worldwide. Consequently, this paper addresses topics related to a healthy lifestyle in the context of Georgia.

The objective of the research is to critically analyze the discourse surrounding healthy lifestyle as it manifests in Georgian social media. The research aims to uncover the primary themes within the discourse, the strategies employed in its production, and its relationship with various ideologies. The theoretical framework of the study draws on Van Dijk's Ideological Discourse Analysis. The research question is explored in connection with concepts such as medicalization, healthism, and consumer culture. The literature review provides an overview of global discourses on a healthy lifestyle as well as the local context within Georgia. For this study, 130 posts from six Instagram blogs were analyzed.

At the micro level of analysis, several prominent themes and manipulative strategies employed in their production were identified. Instagram bloggers constructed positive social representations of healthy lifestyle followers as members of an internal group, while using negative portrayals when describing the external group. This serves to legitimize unfair dominance and inequality within society. Furthermore, at the macro level of analysis, the identified themes were examined in relation to different ideologies.

Key concepts: Healthy Lifestyle, Fitness, Healthy eating, Medicalization, Healthism, Consumer Culture, Social Media, Ideological Discourse, Critical Discourse Analysis, Dominance, Inequality.

მადლობა

მადლობას ვუხდი ჩემს აკადემიურ ხელმძღვანელს, მარიამ დალაქიშვილს, კვლევის პროცესში გაწეული ფასდაუდებელი დახმარებისთვის. მადლობას ვუხდი ყველა იმ ადამიანს, რომელმაც ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე გულახდილად გამიზიარა ჯანმრთელობასთან და უშუალოდ სხეულის წონასა თუ ფორმასთან დაკავშირებული პირადი გულისტკივილი და თავიანთი სევდის თანაზიარი გამხადა, პროცესი თითქმის არასდროს ყოფილა ცალმხრივი. ამგვარი ცხოვრებისეული გამოცდილებების მასშტაბი გახდა აღნიშნული კვლევის ჩატარების ერთერთი მოტივაცია. ასევე მადლობას ვუხდი ჩემს მეუღლეს ნაშრომზე მუშაობისას უწყვეტი მორალური მხარდაჭრისთვის.